

SPELLING OF ONE TYPE OF COMPOUNDS

ერთი სახის კომპოზიტების მართლწერა¹

Tea Burchuladze

PHD in Philology,

Principal Researcher of TSU Arnold Chikobava Linguistics Institute,

Tbilisi, 8 Ingorokva, 0108, Georgia,

+995593228805, burchuladzetea@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-2614-012X>

Abstract. One of the most problematic issues in terms of spelling is the spelling of compounds. Complex words formed from foreign words that enter the language almost every day worsen the situation. It is worth noting that they are written differently in a foreign language, although, naturally, this will not be appropriate and correct for the Georgian language. The recommendations for spelling such words are as follows:

1. A compound, the first part of which is a foreign lexical unit (a whole or truncated base of a noun) will be written together, without a hyphen, if putting the connector **da** semantically between its constituents is not meaningful. In particular, two options are distinguished depending on the base:

a) The first component is consonant-based: პრემიერლიგა “Premier League”, პრემიერკლასი “Premier Class”; პრესცენტრი “press center”, პრესსპიკერი “press spokesman”, პრესკონფერენცია “press conference”; ტრენინგკურსი “training course”, ტრენინგცენტრი “training center”; ბონუსქულა “bonus point”, ბონუსბარათი “bonus card”; ვეტექიმი “veterinarian”, ვეტმომსახურება “vet service”; ბიზნესფორუმი “business forum”, ბიზნესიდეა “business idea”, ბიზნესშეხვედრა “business meeting”; სერვისცენტრი “service center”, სერვისადმინისტრატორი “service administrator”, etc.

The exception is პრემიერ-მინისტრი “prime minister”. It can also be written as a single word პრემიერმინისტრი.

b) The first component is vowel-based: ვიცეპრეზიდენტი “vice president”, ვიცეპრემიერი “vice prime minister”; კინომუსიკა “film music”, კინორეჟისორი “film director”, კინოგაბმოვანება “film dubbing”; მედიაკომპანია “media company”, მედიამაუწყებლობა “media broadcasting”, მედიამენეჯერი “media manager”; ტელეგადაცემა “TV program”, ტელეკომპანია “TV company”, ტელეწამყვანი “TV presenter”; რადიოგადაცემა “radio program”, რადიოკომპანია “radio company”, რადიომაუწყებელი “radio broadcaster”; ვიდეომასალა “video material”, ვიდეოკოლაჟი “video collage”, ვიდეოგადაღება “video recording”; აუდიომოწყობილობა “audio equipment”, აუდიოჩანაწერი “audio recording”, აუდიოწიგნები “audio books”; ფოტოსესია “photo session”, ფოტოგადაღება “photo shoot”, ფოტოპირი “photocopy”; ავტოგაქირავება “car rental”, ავტოსესი “car loan”, ავტომომსახურება “car service”, etc.

2. Compounds consisting of more than two components that include foreign words (a whole or truncated base of a noun) express one common concept and, accordingly, are written together as a single word. Their constituents as a whole convey one common meaning (and not as separate

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია“ (SL-24-157) – ფარგლებში.

independent words). Therefore, like the compounds discussed above (კინომუსიკა, აუდიოჩანაწერი, ვიდეოკოლაჟი, etc.), they are written together as a whole word, since the connector **da** cannot be placed between them semantically, e.g., რადიოკავშირგაბმულობა “radio communication”, რადიოკინოდანადგარი “radio cinema device”, რადიოფოტოტელეგრაფი “radio photo telegraph”, ელექტროვაგონშემკეთებელი “electric railcar repairer”, ოტორინოლარინგოლოგი “otorhinolaryngologist”, ავიამოტორმშენებლობა “aircraft engine construction”, ავტოჯავშანმანქანა “armored car”, ვიდეომაგნიტოფილმი “videotape film”, რადიოაერონავიგაცია “radio aeronautical navigation”, ელექტროკარდიოტოპოგრაფია “electrocardiotopography”, etc.

Keywords: compound, spelling, norm

თეა ბურჭულაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,

ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას N8, 0108, საქართველო,

+995593228805, burchuladzetee@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-2614-012X>

აბსტრაქტი. მართლწერის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე პრობლემური საკითხი კომპოზიტების დაწერილობაა. სირთულეს განსაკუთრებით ქმნის ენაში ლამის ყოველდღიურად შემოსული უცხო სიტყვებისგან წარმომდგარი რთული სიტყვები. აღსანიშნავია, რომ ისინი თვითონ უცხო ენაში სხვაგვარად იწერება, თუმცა, ბუნებრივია, ქართულისათვის ის ვერ იქნება შესაბამისი და მართებული. დაწერილობის რეკომენდაციები შემდეგია:

1. ის კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი უცხოური ენიდან შემოსული ერთეულია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე), დაიწერება ერთად, დეფისის გარეშე, თუ მის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად არ ჩაისმის და კავშირი. კერძოდ, ფუძის მიხედვით გამოიყოფა ორი ვარიანტი:

ა) პირველი კომპონენტი თანხმოდანფუძიანია: **პრემიერლიგა, პრემიერკლასი; პრესცენტრი, პრესსპიკერი, პრესკონფერენცია; ტრენინგკურსი, ტრენინგცენტრი; ბონუსქულა, ბონუსბარათი; ვეტექიმი, ვეტომოსახურება; ბიზნესფორუმი, ბიზნესიდეა, ბიზნესშეხვედრა; სერვისცენტრი, სერვისადმინისტრატორი...**

გამონაკლისია **პრემიერ-მინისტრი**. დასაშვებია მისი ერთად დაწერილობაც – **პრემიერ-მინისტრი** (//პრემიერმინისტრი).

ბ) პირველი კომპონენტი ხმოდანფუძიანია: **ვიცეპრეზიდენტი, ვიცეპრემიერი; კინომუსიკა, კინორეჟისორი, კინოგახმოვანება; მედიაკომპანია, მედიამაუწყებლობა, მედიამენეჯერი; ტელეგადაცემა, ტელეკომპანია, ტელეწამყვანი; რადიოგადაცემა, რადიოკომპანია, რადიომაუწყებელი; ვიდეომასალა, ვიდეოკოლაჟი, ვიდეოგადაღება; აუდიომოწიფობილობა, აუდიოჩანაწერი, აუდიოწიგნები; ფოტოსესია, ფოტოგადაღება, ფოტოპირი; ავტოგაქირავება, ავტოსესხი, ავტომომსახურება...**

2. ორზე მეტკომპონენტური უცხოური სიტყვებისგან შემდგარი კომპოზიტები (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე) ერთ საერთო ცნებას გამოხატავენ და, შესაბამისად, ერთად დაიწერება. მათი შემადგენელი ნაწილები მთლიანობაში გადმოსცემენ ერთ საერთო შინაარსს (და არა ცალ-ცალკე დამოუკიდებელი სიტყვებით). ამიტომ ზემოთ განხილული კომპოზიტების (კინომუსიკა, აუდიოჩანაწერი, ვიდეოკოლაჟი...) მსგავსად ერთად დაიწერება, რადგან მათ შორის აზრობრივად არ დაისმის და კავშირი: **რადიოკავშირგაბმულობა, რადიოკინოდანადგარი, რადიოფოტოტელეგრაფი, ელექტროვაგონშემკვთებელი, ოტორინოლარინგოლოგი, ავიამოტორშენებლობა, ავტოჯავშანმანქანა, ვიდეომაგნიტოფილმი, რადიოაერონავიგაცია, ელექტროკარდიოტოპოგრაფია...**

საკვანძო სიტყვები: კომპოზიტი, მართლწერა, ნორმა

შესავალი. მართლწერის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე პრობლემური საკითხი კომპოზიტების დაწერილობაა. სირთულეს განსაკუთრებით ქმნის ენაში ლამის ყოველდღიურად შემოსული უცხო სიტყვებისგან წარმომდგარი რთული სიტყვები. აღსანიშნავია, რომ ისინი თვითონ უცხო ენაში სხვაგვარად იწერება, თუმცა, ბუნებრივია, ქართულისათვის ის ვერ იქნება შესაბამისი და მართებული.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა რთულ სიტყვათა მართებულად დაწერის საკითხი მსჯელობისა და განხილვის საგანი. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ვითარებას აჩვენებს კომპოზიტთა აგებულება – ფუძეგაორკეცებულია ის, ერთცნებიანი თუ ორცნებიანი. მათი მართლწერაც სწორედ სიტყვის ცნების განსაზღვრისა თუ აგებულების მიხედვით მუშავდება.

დადგენილი ნორმის მიხედვით, „დეფისით უნდა დაიწეროს ორმნიშვნელობიანი კომპოზიტები“. ესაა კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით (თანამედროვე ქართული ენის ნორმები, 1970: 156). მიჩნეულია, რომ ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორცნებიანი – დეფისით (თანამედროვე ქართული ენის ნორმები, 1970: 154-155). ორცნებიანი კომპოზიტების შემადგენელი ფუძეები იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რომელიც მათ ცალკე აღებულს ჰქონდათ. რთული ფუძე მხოლოდ მექანიკურად აერთიანებს და ერთად უყრის თავს ამ მნიშვნელობებს. ასეთ შემთხვევებში შემადგენელი ფუძეების და კავშირით ან სხვა მაერთებელი კავშირით გაერთიანებაა შესაძლებელი, ანუ რთული ფუძე და კავშირიანი სიტყვათშეერთებით შეიძლება შეიცვალოს: და-მმა (= და და მმა); ცოლ-ქმარი (= ცოლი და ქმარი), დედ-მამა (= დედა და მამა), ფარ-ხმალი (= ფარი და ხმალი)...

ასეთია არსებული ნორმა, თუმცა ცხადია, გასათვალსიწინებელია კომპოზიტის შემადგენლობისა და სტრუქტურის ფაქტორი. ამიტომ სპეციფიკურია ისეთი რთული სიტყვების დაწერილობა, როცა ის უცხო სიტყვითა თუ ფუძეებითაა შედგენილი.

მეთოდები. წარმოდგენილი სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: აღწერითი მეთოდი, ლინგვისტური მასალის კრიტიკული ანალიზი, სტრუქტურული კვლევა, დედუქცია, ინდუქცია.

შედეგები. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია უცხოური ფუძის შემცველი კომპოზიტების აგებულება, აღწერილია მათი დაწერილობის ფორმები სხვადასხვა ტიპის

ტექსტებში (მათ შორის მედიაში) და შემოთავაზებულია ამგვარი რთული სიტყვების მართლწერის რეკომენდაციები.

მსჯელობა. თანამედროვე ქართულში მრავლად დასტურდება იმ სახის კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი მსაზღვრელად გამოყენებული უცხოური ფუძის შემცველი არსებითი სახელებია. ასეთ შემთხვევებში არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებითს.

არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი ისეთივე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი ხმოვანფუძიანი თუ თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი და საზღვრული, შესაბამისად, ეს ტიპი ცალ-ცალკე იწერება: **რკინა** კაცი, **ზღვა** ხალხი, **ჭიქა** წყალი (შდრ.: **პატარა** გოგო, **პატარა** გოგომ, **პატარა** გოგოს...), **ურემი** შეშა, **ბოთლი** ღვინო (შდრ.: დიდი სახლი, დიდმა სახლმა, დიდ სახლს...). ზოგჯერ ამგვარი მსაზღვრელ-საზღვრული შეერწყმის ერთმანეთს და გაკომპოზიტდება: **ვირთხა**, **სირაქლემა**, **ვამლატამა** და მისთ.

თანამედროვე ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლამ თუ უცხო სიტყვების დანერგვამ არაერთი რთული სიტყვა დაამკვიდრა. საქმე ეხება ისეთ კომპოზიტურ ფორმებს, რომელთა პირველ შემადგენელ ნაწილად გარკვეული სტატუსის, სახელწოდებისა თუ დანიშნულების აღმნიშვნელი სიტყვები დასტურდება. გვხვდება მათი როგორც დეფისიანი, ისე უდეფისო დაწერილობის შემთხვევები: **პრემიერ-მინისტრი** / **პრემიერმინისტრი**, **პრემიერ-ლიგა** / **პრემიერლიგა**, **ვიცე-პრეზიდენტი** / **ვიცეპრეზიდენტი**, **ვიცე-პრემიერი** / **ვიცეპრემიერი**, **ფოტო-გადაღება** / **ფოტოგადაღება**, **მედია-სკოლა** / **მედიასკოლა**, **ინტერნეტ-ჟურნალი** / **ინტერნეტჟურნალი**, **ინტერნეტ-გამოცემა** / **ინტერნეტგამოცემა**, **კიბერ-უსაფრთხოება** / **კიბერუსაფრთხოება**...

წარმოებისა და ფუძის თვალსაზრისით გამოიყოფა:

1. გარკვეული სტატუსისა თუ სახელწოდების აღმნიშვნელი სიტყვები (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **პრემიერ-მინისტრი**, **პრემიერლიგა**, **ვიცეპრეზიდენტი**, **ვიცეპრემიერი**...

2. დანიშნულების აღმნიშვნელი სიტყვები (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **ფოტოგადაღება**, **ფოტოსესია**, **ფოტოპირი**; **მედიასკოლა**, **ინტერნეტჟურნალი**, **ინტერნეტგამოცემა**, **კიბერუსაფრთხოება**...

3. სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი თანხმოვანფუძიანია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **პრესცენტრი**, **პრესსპიკერი**, **პრესკონფერენცია**; **ვებგვერდი**, **ვებმომსახურება**, **ტრენინგკურსი**, **ტრენინგცენტრი**; **ბონუსქულა**, **ბონუსბარათი**; **ვეტექიმი**, **ვეტმომსახურება**; **ბიზნესფორუმი**, **ბიზნესიდეა**, **ბიზნესშეხვედრა**; **სერვისცენტრი**, **სერვისადმინისტრატორი**...

4. სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი ხმოვანფუძიანია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **კინომუსიკა**, **კინორეჟისორი**, **კინოგახმოვანება**; **მედიაკომპანია**, **მედიამაუწყებლობა**, **მედიამენეჯერი**; **ტელეგადაცემა**, **ტელეკომპანია**, **ტელეწამყვანი**; **რადიოგადაცემა**, **რადიოკომპანია**, **რადიომაუწყებელი**; **ვიდეომასალა**, **ვიდეოკოლაჟი**, **ვიდეოგადაღება**; **აუდიომოწიფილობა**, **აუდიოჩანაწერი**, **აუდიოწიგნები**; **ავტოგაქირავება**, **ავტოსესხი**, **ავტომომსახურება**...

როგორც ჩანს, დეფისიანი დაწერილობის მიზეზი ის არის, რომ ამგვარი ფორმები, როგორც აღინიშნა, გარკვეული სოციალური სტატუსის, სახელწოდებებისა თუ დანიშნულების აღმნიშვნელია, თუმცა მათი ფუძეები ერთნაირად დამოუკიდებელი მნიშვნელობისა როდია. საკითხიც ასე დაისმის – ორცნებიანია ეს კომპოზიტები თუ ერთცნებიანი? გასარკვევია, დასახელებულ შემთხვევებში პირველ შემადგენელ კომპონენტს აქვს თუ არა სრული, დამოუკიდებელი მნიშვნელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ

მათი უმეტესობა ფაქტობრივად ცალკე აღებული არ გამოიყენება. უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული კომპოზიტების შემადგენელ ნაწილებს შორის და კავშირი არ ჩაისმის. აზრობრივად არასწორია: **ფოტო და გადაღება, პრემიერი და ლიგა, ვიცე და პრეზიდენტი, ვიცე და მერი, მედია და სკოლა, ინტერნეტი და ჟურნალი...**

დასახელებული კომპოზიტების პირველი ნაწილი უცხოური ენიდან შემოსული ერთეულია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე). ისინი დაიწერება ერთად, დეფისის გარეშე, რადგან მის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად არ ჩაისმის და კავშირი.

ბოლო წლებში გამოცემულ ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონებში დასახელებული კომპოზიტები სწორედ ერთად დაწერილობითაა შეტანილი (მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“, „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, „მართლწერის 80 რეკომენდაცია მედიისათვის“)

ასევე მრავლად დასტურდება ისეთი უცხოური ფუძის შემცველი არსებითი სახელები, რომლებიც შედგება ორზე მეტი ასევე უცხოური სიტყვის სრული თუ შეკვეცილი ფუძეებისგან:

რადიოკავშირგაბმულობა, რადიოკინოდანადგარი, რადიოფოტოტელეგრაფი, ელექტროვაგონ-შემკეთებელი, ოტორინოლარინგოლოგი, ავიამოტორმშენებლობა, ავტოჯავშანმანქანა, ვიდეომაგნიტოფილმი, რადიოაერონავიგაცია, ელექტროკარდიოტოპოგრაფია... მედიაში მათი სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება, კერძოდ, ცალ-ცალკეც და დეფისიანი ფორმითაც: ვიდეო მაგნიტოფილმი, ავია მოტორმშენებლობა... რადიო-კინოდანადგარი, ავტო-ჯავშანმანქანა, ელექტრო-კარდიოტოპოგრაფია...

მოხმობილი მაგალითები რამდენიმეკომპონენტია: რადიო+კავშირ+გაბმულობა; რადიო+კინო+დანადგარი; ელექტრო+ვაგონ-შემკეთებელი; ოტო+რინო+ლარინგოლოგი; ელექტრო+კარდიო+ტოპოგრაფია; ავტო+ჯავშან+მანქანა... ბუნებრივია, დგება ამგვარი სიტყვების მართებულად დაწერილობის საკითხი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასახელებული ტიპის სიტყვების მართებულად დაწერილობის რამდენიმე რეკომენდაცია შემუშავდეს:

1. ის კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი უცხოური ენიდან შემოსული ერთეულია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე), დაიწერება ერთად, დეფისის გარეშე, თუ მის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად არ ჩაისმის და კავშირი. კერძოდ, ფუძის მიხედვით გამოიყოფა ორი ვარიანტი:

ა) პირველი კომპონენტი თანხმოვანფუძიანია: **პრემიერლიგა, პრემიერკლასი; პრესცენტრი, პრესსპიკერი, პრესკონფერენცია; ტრენინგკურსი, ტრენინგცენტრი; ბონუსქულა, ბონუსბარათი; ვეტექიმი, ვეტომოსახურება; ბიზნესფორუმი, ბიზნესიდეა, ბიზნესშეხვედრა; სერვისცენტრი, სერვისადმინისტრატორი...**

გამონაკლისია **პრემიერ-მინისტრი**. დასაშვებია მისი ერთად დაწერილობაც – **პრემიერ-მინისტრი** (//პრემიერმინისტრი).

ბ) პირველი კომპონენტი ხმოვანფუძიანია: **ვიცეპრეზიდენტი, ვიცეპრემიერი; კინომუსიკა, კინორეჟისორი, კინოგახმოვანება; მედიაკომპანია, მედიამაუწყებლობა, მედიამენეჯერი; ტელეგადაცემა, ტელეკომპანია, ტელეწამყვანი; რადიოგადაცემა, რადიოკომპანია, რადიომაუწყებელი; ვიდეომასალა, ვიდეოკოლაჟი, ვიდეოგადაღება; აუდიომოწყობილობა, აუდიოჩანაწერი, აუდიოწიგნები; ფოტოსესია, ფოტოგადაღება, ფოტოპირი; ავტოგაქირავება, ავტოსესხი, ავტომომსახურება...**

2. ორზე მეტკომპონენტია უცხოური სიტყვებისგან შემდგარი კომპოზიტები (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე) ერთ საერთო ცნებას გამოხატავენ და, შესაბამისად, ერთად დაიწერება. მათი შემადგენელი ნაწილები მთლიანობაში გადმოსცემენ ერთ საერთო შინაარსს (და არა ცალ-ცალკე დამოუკიდებელი სიტყვებით).

ამიტომ ზემოთ განხილული კომპოზიტების (კინომუსიკა, აუდიოჩანაწერი, ვიდეოკოლაჟი...) მსგავსად ერთად დაიწერება, რადგან მათ შორის აზრობრივად არ დაისმის და კავშირი: რადიოკავშირგაბმულობა, რადიოკინოდანადგარი, რადიოფოტოტელეგრაფი, ელექტროვაგონშემკეთებელი, ოტორინოლარინგოლოგი, ავიამოტორშენებლობა, ავტოჯავშანმანქანა, ვიდეომაგნიტოფილმი, რადიოაერონავიგაცია, ელექტროკარდიოტოპოგრაფია...

დასკვნა. სირთულეს ქმნის კომპოზიტების, განსაკუთრებით უცხო ენიდან შემოსული რთული სიტყვების, მართლწერის საკითხი. მათი დაწერილობა პირდაპირ ორიგინალი ენიდან კი არ უნდა გადმოვიტანოთ, არამედ მივუსადაგოთ ქართული ენის გრამატიკის ბუნებას და შესაბამისად შემუშავდეს მართლწერის წესები.

გამოყენებული ლიტერატურა

ბურჭულაძე, თ. (2015). ერთი ტიპის რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. XV. თბილისი.
თანამედროვე ქართული ენის ნორმები. (1970). I. თბილისი.
მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის. (2016). თბილისი.

REFERENCES

burch'uladze, t. (2015). erti t'ip'is rtul sit'qvata dats'erilobisatvis [On Spelling the Compound Words of the Same Type]. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues of Georgian Speech Culture]*. XV. Tbilisi.
tanamedrove kartuli enis normebi [Norms of the modern Georgian language]. (1970). I. Tbilisi.
martlts'eri leksik'oni mediisatvis [Spelling dictionary for media]. (2016). Tbilisi.